მე-16 ელემენტი
ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
THE INSTITUTE FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS



ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ახალგაზრდების განწყობების კვლევა

2023 წელი

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ახალგაზრდების განწყობების კვლევა

კვლევის ავტორები:

ვახტანგ ნოღაიდელი

ელეონორა ჭანია

ექსპერტი:

ნინო კალანდარიშვილი

ენობრივი რედაქტორი:

ნინო კობახიძე

კონსულტანტები:

ივანე აბრამაშვილი

ელიკო ბენდელიანი

დიზაინი:

ელეონორა ჭანია

წინასიტყვაობა

კვლევა ჩატარდა ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის „მე-16 ელემენტისა“ და „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ (ISNC) მიერ. „მე-16 ელემენტი“ წარმოადგენს 2019 წელს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ (ISNC) პროექტის - „ახალგაზრდული ინიციატივები მშვიდობისთვის“ - ფარგლებში ჩამოყალიბებულ ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფს, რომელიც მუშაობს მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით.

2020 წელს „მე-16 ელემენტმა“ ჩაატარა „ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ“, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ახალგაზრდების განწყობებისა და მოსაზრებების კუთხით არსებული ტენდენციები და პრობლემური საკითხები. წინამდებარე კვლევა ზემოაღნიშნულის გაგრძელებას წარმოადგენს, თუმცა, კვლევის განსხვავებული მეთოდის გამოყენებით. ვფიქრობთ, კვლევა საინტერესო და გამოსადეგი იქნება მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესებით, მათ შორის ქართულ-აფხაზური ურთიერთობებით, დაინტერესებული პირებისთვის.

კვლევის ავტორები მადლობას ვუხდით „მე-16 ელემენტის“ გუნდის წევრებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევისათვის მნიშვნელოვანი მონაცემების შეგროვების პროცესში.

ასევე, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ სფეროს ექსპერტებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით კვლევის ანგარიშის საბოლოო ფორმით ჩამოყალიბებაში.

ვახტანგ ნოღაიდელი

ელეონორა ჭანია

ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ ან/და დონორი ორგანიზაციის ხედვებს.

სარჩევი

შესავალი

საკითხის აქტუალურობა 5

კვლევის მიზანი და ამოცანები 7

კვლევის მეთოდოლოგია 7

ჩარჩო დოკუმენტებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

1. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250: ახალგაზრდები, მშვიდობა და უსაფრთხოება (*UN Security Council Resolution 2250: Youth, Peace and Security)* 8
2. „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ 8
3. ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ 9
4. ახალგაზრდული პერსპექტივები მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ: ქართულ-აფხაზური კონტექსტი 10
5. საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობა 11

კვლევის ძირითადი მიგნებები

1. აფხაზეთთან დაკავშირებული ასოციაციები 13
2. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის განმაპირობებელი მიზეზები 15
3. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელი ფაქტორები 16
4. კონფლიქტის მოგვარების გზები 19
5. ახალგაზრდების მზაობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით/პროცესებში ჩართვის ფორმატი 21
6. წყაროები, რომლებზე დაყრდნობით ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე თანამედროვე (ყოველდღიური) მოვლენების შესახებ 22

დასკვნა 23

დანართი №1 (კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა)

- კვლევის მეთოდი და მონაცემების შეგროვების სტრატეგიები 25
- შერჩევა 26
- კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდის სტრატეგიები 27
- კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია 28
- შეზღუდვები 28

დანართი №2

დემოგრაფიული მონაცემები 29

დანართი №3

კვლევის კითხვარი 34

გამოყენებული წყაროები 38

შესავალი

საკითხის აქტუალურობა

საქართველოში 1990-იან წლებში განვითარებული სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირებების შედეგად, უკვე სამი ათწლეულია ქართული და აფხაზური საზოგადოებები ერთმანეთისაგან გაყოფილია და, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, კონფლიქტები დღემდე გადაუჭრელ გამოწვევად რჩება.

ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების მნიშვნელოვანი ბერკეტი მისი ტრანსფორმაციაა, რაც გულისხმობს მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების გარდაქმნას იმგვარად, რომ გაყოფილ საზოგადოებებს შორის შეხების წერტილები გაჩნდეს. დროის სვლასთან ერთად, გაყოფილ საზოგადოებებში იზრდებიან ახალი თაობები, რომელთაც კონფლიქტებთან ნაკლები ემოციური კავშირი გააჩნიათ. აღნიშნული ობიექტური და სუბიექტური გარემოებებით არის განპირობებული, თუმცა კონფლიქტის მოგვარებისადმი ინტერესის ნაკლებობა, თავისთავად, მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა იქნეს აღქმული კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და შემდგომი დარეგულირების გზაზე.

რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში, გაზარდა ახალგაზრდების ცნობიერება ომის უარყოფითი გავლენისა და მშვიდობის მნიშვნელობის თაობაზე. კონფლიქტებისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე მსჯელობა გააქტიურდა და გამოიკვეთა მშვიდობის მნიშვნელობა გლობალური კეთილდღეობისა და პროგრესისთვის. აღნიშნულმა მოვლენებმა საზოგადოებას შეახსენა, რომ „ომის დაწყება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მშვიდობის.“[1] აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, თავისი გეოპოლიტიკური ისტორიისა და არსებული პოლარიზებული პოლიტიკური ლანდშაფტის გათვალისწინებით, ტერმინი „მშვიდობა“ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მიერ განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენებოდა: ზოგი მას პოლიტიკურ მორჩილებას უკავშირებდა, ზოგი კი პოლიტიკურ გზავნილად იყენებდა.

ახალგაზრდების როლი სამშვიდობო პროცესებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ომისა და ძალადობის წინააღმდეგ ახალი თაობების საპროტესტო გამოსვლები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, მკაფიოდ წარმოაჩენს ამ თაობის წარმომადგენელთა მთავარ ღირებულებას - მშვიდობას, რაც, შესაძლოა, საფუძველს აცლიდეს პარადიგმას, რომ „ომს ხნიერი მამაკაცები იწყებენ, ხოლო მასში ბრძოლა და სიკვდილი ახალგაზრდების ვალდებულებაა.“[2]- ბოლო პერიოდში ქართულ საზოგადოებაში არსებული ძვრები აჩვენებს, რომ ახალგაზრდებს პრინციპული ღირებულებები აქვთ და ისინი ძირითადად მშვიდობასა და თავისუფლებაზეა ორიენტირებული.

---

[1]საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ ბენჟამინ კლემანსო (1906-1909; 1917-1920).

[2] აშშ-ის პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი (1929-1933)

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ახალგაზრდების მნიშვნელობასა და როლზე არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ დოკუმენტში, კვლევასა და სამოქმედო გეგმაშია ხაზი გასმული, ახალგაზრდები დღემდე არ არიან სათანადოდ ჩართულნი საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების პროცესებში. ამასთან, ქართველი ახალგაზრდების ხედვა, აღნიშნული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა და მათი დარეგულირების შესაძლებლობების თაობაზე, არ არის სათანადოდ შესწავლილი, რაც შესაძლოა სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში არასწორი ნაბიჯების გადადგმის საფუძველი გახდეს.

გარდა ამისა, ახალი თაობები, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ვერ იღებენ შესაბამის ინფორმაციას როგორც კონფლიქტების შესახებ, ისე მისი მოგვარებისათვის გადადგმული ნაბიჯების თაობაზე. იმ ფონზე კი, როდესაც თაობათა ცვლა, მათ შორის, სახელმწიფო მართვის დონეზე, ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან აქტიურად საუბარი კონფლიქტების ირგვლივ არსებული გამოწვევების შესახებ, რათა მათ გააჩნდეთ მოტივაცია და ხედვა აღნიშნული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. ამასთან, აუცილებელია ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა კონფლიქტების დარეგულირების პროცესში და ამ კონფლიქტების მიმართ მათი განწყობების მუდმივად შესწავლა, რათა ამ მხრივ სახელმწიფოს პოლიტიკა სწორად დაიგეგმოს და სათანადოდ იქნეს გააზრებული არსებული გამოწვევები.

სწორედ იმის გამო, რომ კონფლიქტების შესახებ ქართველი ახალგაზრდების მოსაზრებები არ არის სათანადოდ შესწავლილი, 2020 წელს მე-16 ელემენტმა ჩაატარა ქართველი ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართული-აფხაზური ურთიერთობების შესახებ.[3] კვლევა მიზნად ისახავდა ახალგაზრდების აზრის შესწავლას კონფლიქტთან დაკავშირებულ ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიც არის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, კონფლიქტის მოგვარების გზები და სხვ. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების როგორც ინფორმირებულობის დონე, ისე ინტერესი ქვეყნის შიგნით არსებულ კონფლიქტებსა და მათი გადაჭრის საკითხებზე დაბალია, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან.

[3] *ვ. ნოღაიდელი, ე. ჭანია, გ.რიჟვაძე, ს. ბაბალაშვილი,* ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ, მე-16 ელემენტი, თბილისი, 2020
იხ. https://16thelement.org/wp-content/uploads/2020/12/16th-Element-research.pdf

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია:

- ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ახალგაზრდების განწყობების კვლევა.

კვლევის ამოცანაა:

- ახალგაზრდების ასოციაციური აღქმების გამოკვეთა აფხაზეთთან მიმართებით, აგრეთვე, მათი განწყობების გამოვლენა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წარმოშობის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ;

- ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელი ფაქტორებისა და კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობის შესახებ;

- ახალგაზრდების განწყობების კვლევა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში მათი როლის აღქმის და ჩართულობის დონის/ფორმის თაობაზე;

- იმ წყაროების გამოვლენა, რომელზე დაყრდნობითაც ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე თანამედროვე (ყოველდღიური) მოვლენების შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია[4]

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, ხოლო მონაცემების შეგროვების მეთოდად შერჩეული იქნა ინტერნეტ-გამოკითხვა, წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.ამასთან, კვლევის შერჩევის პოპულაციად განისაზღვრა საქართველოს მოქალაქეები 18 წლიდან 35 წლის ჩათვლით,რომლებიც სარგებლობენ ინტერნეტით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებზე[5] დაყრდნობით, საქართველოს მოსახლეობის 22%-ს წარმოადგენენ ჩვენ მიერ შერჩეული ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები - 18-23 წელი; 24-29 წელი; 30-35 წელი, რაც მთლიანობაში შეადგენს 833 062 ადამიანს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 548 რესპონდენტმა.

[4] კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა - იხ. დანართი №1

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba [29.04.2023]

ჩარჩო დოკუმენტებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

1. **გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250: ახალგაზრდები, მშვიდობა და უსაფრთხოება (*UN Security Council Resolution 2250: Youth, Peace and Security*)[6]**

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250 არის პირველი რეზოლუცია ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ. იგი აღიარებს იმ პოზიტიურ როლს, რომელსაც ახალგაზრდები ასრულებენ მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობაში და მოუწოდებს მათ უფრო მეტი ჩართულობისკენ კონფლიქტების პრევენციაში, მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობაში.

რეზოლუციით აღიარებულია, რომ ახალგაზრდები განიცდიან კონფლიქტებს და ძალადობას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. რეზოლუცია მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, ხელი შეუწყონ ახალგაზრდების მონაწილეობას მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. იგი, ასევე, ხაზს უსვამს ახალგაზრდების უფლებების დაცვის მნიშვნელობას, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას და განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

2. **„ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“**

„ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ არის საქართველოს მთავრობის 2018 წლის სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც სხვადასხვა სამშვიდობო მიმართულებას ფარავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის, მათ შორის, აღნიშნული ინიციატივა ასახავს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას და მიდგომას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაზრდისა და გამარტივების, განათლების ყველა საფეხურისადმი ხელმისაწვდომისა და ხარისხიან განათლებაზე წვდომის მიმართულებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.[7]

---

[6]გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250: ახალგაზრდები, მშვიდობა და უსაფრთხოება (UN Security Council Resolution 2250: Youth, Peace and Security).
*იხ.*https://youth4peace.info/UNSCR2250/Introduction

[7] საქართველოს მთავრობის 2018 წლის სამშვიდობო ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება“. იხ. https://smr.gov.ge/uploads/prev/ a2beda36.pdf [29.04.2023]

3. ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ[8]

2020 წელს „მე-16 ელემენტის“ მიერ ჩატარდა *„ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ“*, რომლის მიზანი იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ახალგაზრდების აზრის შესწავლა, კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებისთვის ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, ძირითადად, დაძაბულ სიტუაციასა და კონფლიქტთან ასოცირდება. აგრეთვე, ახალგაზრდების მოსაზრებით, აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის ქართული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, ქართველებსა და აფხაზებს კი ერთმანეთთან მეგობრული, კეთილგანწყობილი და მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდათ.

ამასთან, გამოიკვეთა ისიც, რომ ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობს ინფორმაციას სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე მიმდინარე პროცესების შესახებ, რომლებიც მიმართულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობისკენ.

საგულისხმოა, რომ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებად ახალგაზრდები ასახელებენ შემდეგ ფაქტორებს: რუსეთის იმპერიალისტური/ექსპანსიონისტური პოლიტიკა; აფხაზეთის სეპარატისტული მისწრაფებები; საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკა. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების დიდი ნაწილი კონფლიქტის გამომწვევ მთავარ მიზეზად რუსეთს და მის (ირიბ თუ პირდაპირ) პოლიტიკას ასახელებს და მიიჩნევს, რომ რუსეთის მაპროვოცირებელმა ძალამ ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის გასამწვავებლად მიზანმიმართული ინტერვენციები განახორციელა. მისი ჩარევის გარეშე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ დაირღვეოდა. ამასთან, ახალგაზრდების მოსაზრებით, რუსეთი ყოველთვის ცდილობდა მხარეებს შორის დაძაბულობა გამოეწვია პროპაგანდისა და მონოპერსპექტიული, ერთგანზომილებიანი ინფორმაციის გავრცელების გზით.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების მცირე ნაწილის აზრით, კონფლიქტის მიზეზი იყო ეთნიკურ აფხაზებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა და საქართველოსგან გამოყოფის სეპარატისტული მისწრაფებები. აფხაზების საქართველოდან გამოყოფის მოტივად დასახელდა უკეთესი ეკონომიკური ცხოვრების სურვილი, რასაც რუსეთის დახმარებით მიაღწევდნენ.

კვლევის თანახმად, ახალგაზრდების ნაწილი კრიტიკულად აფასებს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ქმედებებს და კონფლიქტის

---

[8] *ვ. ნოღაიდელი, ე. ჭანია, გ.რიჟვაძე, ს. გაგალაშვილი,* ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ, მე-16 ელემენტი, თბილისი, 2020
იხ. https://16thelement.org/wp-content/uploads/2020/12/16th-Element-research.pdf

მაპროვოცირებლად მიიჩნევს. კვლევის მონაწილეთა ერთი ნაწილის კრიტიკის საფუძველია აფხაზებისთვის მიცემული ზედმეტი თავისუფლება. ამის მაგალითად დასახელდა ენობრივი ასპექტი - აფხაზეთში მინიმალურად გამოიყენებოდა ქართული ენა ურთიერთობებისათვის, ხოლო ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას რუსული წარმოადგენდა. მეორე ნაწილისთვის კი, უარყოფითი შედეგები მაშინდელი ხელისუფლების მიერ აფხაზებისადმი დისკრიმინაციულმა მიდგომამ მოიტანა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი აფხაზეთის შესახებ ინფორმაციას პირადი კონტაქტებიდან (ნათესავები, ახლობლები, მეგობრები) იღებს. აღნიშნულის შემდგომ დასახელდა სოციალური ქსელები, ტელევიზია, რადიო, ისტორიის გაკვეთილები და უნივერსიტეტები.

ასევე, კვლევის შედეგად დგინდება, რომ ახალგაზრდები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების/გადაჭრის დამაბრკოლებელ ფაქტორებად მიიჩნევენ რუსეთის ფედერაციას; აფხაზური საზოგადოების ინფორმაციულ ვაკუუმს/აფხაზეთში არსებულ დეზინფორმაციას; საქართველოს ხელისუფლების არაეფექტურ პოლიტიკას და აფხაზურ მხარესთან არასაკმარის კომუნიკაციას.

კვლევის შედეგების საფუძველზე, ახალგაზრდები კონფლიქტის მოგვარების გზად ასახელებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება; სახალხო დიპლომატია ახალგაზრდების მეტი ჩართულობით; რუსეთის ინტერესების შესუსტება/რუსეთის სახელმწიფოს დასუსტება; ორმხრივი სოციალური და კულტურული პროექტების განხორციელება და სხვ.

4. ახალგაზრდული პერსპექტივები მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ: ქართულ-აფხაზური კონტექსტი[9]

2017 წლის ივნისსა და ივლისში ბრიტანულმა ორგანიზაციამ - „Conciliation Resources"-მა ჩაატარა ორი გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების მოსაზრებების გაგებას ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით. გამოკითხვები მოიცავდა ფოკუს ჯგუფის დისკუსიებს და სიღრმისეულ ინტერვიუებს სხვადასხვა წარმოშობის ახალგაზრდებთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა კონფლიქტის გრძელვადიანი გავლენა აფხაზეთსა და საქართველოს კონტროლირებად ზოგიერთ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტები იშვიათად ასახელებდნენ კონფლიქტთან პირდაპირ დაკავშირებულ საკითხებს მწვავე პრობლემების ჩამონათვალში. ახალგაზრდები ძირითადად ყურადღებას

[9]Conciliation Resources, ახალგაზრდული პერსპექტივები მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ: ქართულ-აფხაზური კონტექსტი (Youth perspectives on peace and security: the Georgian-Abkhaz context),2017 იხ. https://rc-services-assets.s3.eu-west-1.amazonaws.com/s3fs-public/%20Georgian-Abkhaz%20context%20-%20youth%20perspectives%20on%20peace%20and%20security.pdf

ამახვილებდნენ ყოველდღიურ დაძაბულობაზე, დისკრიმინაციაზე, ახალგაზრდების ჩართულობის ნაკლებობაზე, ცუდი მმართველობისა და კორუფციის საკითხებზე.

კონფლიქტთან დაკავშირებით კვლევაში მონაწილეთა უმეტესობამ მიუთითა ინფორმაციისა და სამშვიდობო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების ნაკლებობაზე. ახალგაზრდები თავს გარიყულად გრძნობდნენ სამშვიდობო პროცესისგან, მაგრამ სჯეროდათ, რომ მათ შეეძლოთ უკეთესი, ეფექტიანი პროცესების შექმნა, რადგან ისინი არ არიან წარსულის ტყვეობაში. საგულისხმოა, რომ რესპონდენტებმა მიუთითეს კონფლიქტების კონსტრუქციულად გადაჭრის საერთო კულტურის ნაკლებობაზე, რაც, მათი მოსაზრებით, იგრძნობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, საგანმანათლებლო სივრცეებსა და ოჯახურ გარემოში.

5. საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობა[10]

2021 წელს "CRRC-საქართველომ" "კავკასიური სახლისათვის" ჩაატარა კვლევა - „ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობა", რომელშიც გამოიკითხა 18-29 წლის 1116 ახალგაზრდა.

კვლევის თანახმად, ახალგაზრდების უმრავლესობას მიაჩნია, რომ კონფლიქტები მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს და არა ძალით. საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ქალთა მონაწილეობამ სამშვიდობო პროცესებში შეიძლება დადებითი გავლენა იქონიოს კონფლიქტების გადაწყვეტაზე, განსაკუთრებით, მდგრადი მშვიდობის მიღწევაში და სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრებთათვის მეტი სოციალური პროგრამების შეთავაზებაში. ამასთან, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა მიმართ თანაგრძნობა მაღალია, მაგრამ შერიგებისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია. ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ ქართველებმა პირველებმა უნდა მოიხადონ ბოდიში სამხედრო დანაშაულებისთვის. ასევე, ახალგაზრდების უმრავლესობას მიაჩნია, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი უნდა იყოს საქართველოს ნაწილი ავტონომიით ან მის გარეშე.

კვლევის თანახმად ახალგაზრდებს საქართველოში ძირითადად უფრო მეტად აინტერესებთ ადგილობრივი ამბები, ვიდრე სეპარტისტული რეგიონების პოლიტიკა. ამასთან, 62% დაინტერესებულია აფხაზეთის ადგილობრივი ამბებით, ხოლო 58% დაინტერესებულია ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი ამბებით. ახალგაზრდებში კონფლიქტური რეგიონების პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის დონე დაბალია, აღნიშნულით უფრო

[10]საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობა - *კვლევა ჩაატარა „კავკასიური სახლისთვის" „CRRC-საქართველომ"*, 2021

მეტად დაინტერესებულნი არიან უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები და ისინი, ვინც კონფლიქტების გამო განიცადა შიდა გადაადგილება. ადგილობრივ ამბებზე ინფორმაციის მიღების ყველაზე გავრცელებული წყაროა ფეისბუქი, ქართული ტელეარხები და ქართული ონლაინ მედია, ხოლო ქართული ბეჭდვითი და რუსული მედია იშვიათად არის ნახსენები. კვლევის თანახმად, ახალგაზრდების მხოლოდ 15% მიიჩნევს, რომ კარგად იცნობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს, ხოლო 42% მზადაა მონაწილეობა მიიღოს ამ კონფლიქტებთან დაკავშირებულ სამშვიდობო ინიციატივებში.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ახალგაზრდების განწყობების კვლევა

კვლევის ძირითადი მიგნებები

1. **აფხაზეთთან დაკავშირებული ასოციაციები**

კვლევის მიზნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდების ასოციაციების გამოკვეთააფხაზეთთან დაკავშირებით. აღნიშნული კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომ მრავალი წელი გავიდა, ხოლო ახალი თაობები განსხვავებული თვალით აღიქვამენ უკვე არსებულ მოცემულობას და გავრცელებული ნარატივიც მხოლოდ ნაწილობრივ აისახება აისახება მათი ხედვების კონსტრუირების პროცესში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (47.45%) აფხაზეთთან მიმართებით უპირველეს ასოციაციად რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას ასახელებს. ამასთან, 27.92% კი აფახაზეთს საქართველოს დაკარგულ ტერიტორიად აღიქვამს. საგულისხმოა, რომ დასახელებული ორი ასოციაცია საერთო რესპონდენტთა პასუხების 75%-ზე მეტს



შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი აფხაზეთს ასოციაციურად ნეგატიურ კონტექსტში განიხილავს - ერთი მხრივ, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიას, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც დაკარგულ ტერიტორიას.

აგრეთვე, გამოკითხულთა 8.21% აფხაზეთთან დაკავშირებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ასოციაციას გამოკვეთს. ამასთან, აფხაზეთთან მიმართებით უპირველესად საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე ახსენდება გამოკითხულთა 7.12%-ს, ხოლო ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობა - 2.01%-ს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 5,47% ასახელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) პრობლემატიკას აფხაზეთთან დაკავშირებულ უპირველეს ასოციაციად. ამასთან, აღნიშნულ ასოციაციას გამოკითხულ რესპონდენტთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობით (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 1.82%) ასახელებენ ის რესპონდენტები, რომელთა მშობლიური რეგიონი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, თუმცა იგივე რეგიონი არ წარმოადგენს მათ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს. გარდა ამისა, დევნილთა პრობლემატიკა უპირველეს ასოციაციად ესახებათ ძირითადად იმ რესპონდენტებს (4.20%), რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი თბილისია. თავის მხრივ, რესპონდენტთა, რომელთა მშობლიური რეგიონი არის თბილისი, მხოლოდ 0.73% ასახელებს აფხაზეთთან დაკავშირებულ ასოციაციად დევნილთა პრობლემატიკას. მეორე მხრივ, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ რესპონდენტები, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და მშობლიური რეგიონი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, საერთოდ არ მოიხსენიებენ დევნილთა პრობლემატიკას აფხაზეთთან დაკავშირებულ ასოციაციად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დევნილთა პრობლემატიკა აფხაზეთთან დაკავშირებულ უპირველეს ასოციაციად ძირითადად თავად დევნილ საზოგადოებაში ესახებათ.

ამასთან, რესპონდენტები, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აფხაზეთთან დაკავშირებულ ასოციაციად გამოკვეთენ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიას (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 0.73%), საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეს (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 0.18%) და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 0.18%).

გამოკითხულთა 1.8% კი სხვა ასოციაციებს ასახელებს, რომელთა შორის გამოიყოფა: სახლი აფხაზეთში; პროვოცირებული კონფლიქტი; აფხაზეთში მიმდინარე ეთნოსის გაქრობის (შემცირების) ტენდეცია; ღალატი; ქართული საზოგადოების უმწიფრობა და სხვ.

აგრეთვე, საგულისხმოა ის გარემოება, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მეორე ასაკობრივ კატეგორიაში (24-29 წელი) აფხაზეთთან დაკავშირებულ ასოციაციებს შორის საერთოდ არ გვხდება „ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობა“ მაშინ, როდესაც დანარჩენ ასაკობრივ კატეგორიებში მცირე მაჩვენებლის სახით (18-23 წელი - სულ გამოკითხულ რესპონდენტთა1.82%; 30-35 წელი - სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 0.18%), თუმცა მაინც გვხვდება აღნიშნული ასოციაცია.

2. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის განმაპირობებელი მიზეზები

ახალგაზრდების განწყობების კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით საყურადღებოა მათი აზრი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზის შესახებ, - თუ რამ განაპირობა კონფლიქტი უმთავრესად. რესპონდენტთა 65.88% მიიჩნევს, რომ კონფლიქტის გამოწვევი უმთავრესი მიზეზი იყო რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები.

ამასთან, გამოკითხულთა 14.05% კი თვლის, რომ კონფლიქტი უმთავრესად განაპირობა 1980-1990-იან წლებში საქართველოში არსებულმა არამდგრადმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ხოლო რესპონდენტთა 8.58% მიიჩნევს, რომ კონფლიქტის განმაპირობებელი უმთავრესი მიზეზი 1980-1990-იან წლებში ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილის მხრიდან აფხაზების მისამართით გაჟღერებული დისკრიმინაციული განცხადებები იყო.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აფხაზების სეპარატისტულ მისწრაფებებს კონფლიქტის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად გამოკითხულთა მხოლოდ 7.66% ასახელებს.



რესპონდენტთა დარჩენილი 3.83% კი კონფლიქტის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად მიიჩნევს სხვა ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის სუსტი სამოქალაქო

სექტორი; რუსული პროპაგანდა; საბჭოთა კავშირის პერიოდში გაღვივებული შოვინიზმი და სხვ.

გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხების ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით შედარებისას იკვეთება, რომ თუკი სამივე ასაკობრივი კატეგორიის (18-23 წელი; 24-29 წელი; 30-35 წელი) წარმომადგენლების მიერ კონფლიქტის განმაპირობებელ მიზეზებს შორის უპირველეს ორ მიზეზად (დაფიქსირებული პასუხების რაოდენობის გათვალისწინებით) სახელდება რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები და 1980-1990-იან წლებში საქართველოში არსებული არამდგრადი პოლიტიკური ვითარება, მომდევნო მიზეზი განსხვავებულია პირველ ორ ასაკობრივ კატეგორიასა და მესამე ასაკობრივ კატეგორიას შორის. კერძოდ, თუკი 18-23 და 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა შორის კონფლიქტის განმაპირობებელ მიზეზად (რაოდენობით მესამე) დასახელებულია 1980-1990-იან წლებში ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილის მხრიდან აფხაზების მისამართით გაჟღერებული დისკრიმინაციული განცხადებები, მესამე ასაკობრივ ჯგუფში (30-35 წელი) სახელდება - აფხაზების სეპარატისტული მისწრაფებები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მშობლიური რეგიონების მიხედვით კლასიფიკაციისას იკვეთება, რომ შეხედულება, კონფლიქტის განმაპირობებელ უმთავრეს მიზეზთან მიმართებით, ერთსულოვანია ყველა რეგიონის წარმომადგენლისათვის და ამგვარ მიზეზად სახელდება რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები. მიზეზთა მომდევნო ჩამონათვალში (რესპონდენტთა ხმების ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით) სახელდება 1980-1990-იან წლებში საქართველოში არსებული არამდგრადი პოლიტიკური ვითარება. ამ მხრივ, განსხვავებულია მონაცემები იმ რესპონდენტების პასუხებში, რომელთა მშობლიური რეგიონი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სამეგრელო და ზემო სვანეთი და შიდა ქართლი, კერძოდ, რესპონდენტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა -1.09%) და შიდა ქართლიდან (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 1.28%), რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებების შემდგომ, ასახელებენ 1980-1990-იან წლებში ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილის მხრიდან აფხაზების მისამართით გაჟღერებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს, ხოლო სამეგრელოსა და ზემო სვანეთის წარმომადგენლები კი - აფხაზების სეპარატისტულ მისწრაფებებს (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 1.46%).

3. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელი ფაქტორები

რესპონდენტთა მოსაზრებები კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელ ფაქტორებთან მიმართებით, ორ ნაწილად უნდა განვიხილოთ. კვლევის კითხვარის მეშვეობით, რესპონდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ მოსაზრებები როგორც

კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელ ფაქტორებთან (ერთი ან ერთზე მეტი პასუხი), აგრეთვე, ყველაზე მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა 63.5% კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელ ფაქტორად ასახელებს რუსეთის ინტერესებს აფხაზეთის მიმართ. ამასთან, თითქმის ამდენივე (60.21%) რესპონდენტი[11] მიიჩნევს, რომ დამაბრკოლებელი ფაქტორი, აგრეთვე, არის აფხაზური საზოგადოების ინფორმაციული ვაკუუმი/აფხაზეთში გავრცელებული რუსული დეზინფორმაცია. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას ასახელებს 29.01%, ხოლო აფხაზური საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულებას ქართველებისადმი - 27.74%. დამაბრკოლებელ ფაქტორად - ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტის მოგვარების მზაობის არარსებობას - მიიჩნევს რესპონდენტთა 20.44%. ამასთან, რესპონდენტთა 2.37% კი ასახელებს სხვა ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის საქართველოს მხრიდან ქართულ-აფხაზური პროექტების სიმწირე, ქართულ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა, ქართული და აფხაზური საზოგადოებების მიერ კონფლიქტის არსის განსხვავებული პრიზმიდან აღქმა.



აგრეთვე, მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, თუ რა ესახებათ ახალგაზრდებს ქართულ-აფხაზურის კონფლიქტის მოგვარების მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც გამოკითხულ რესპონდენტთა

[11]აღნიშნულ კითხვაზე რესპონდენტთა პასუხების ჯამური მაჩვენებელი აღემატება 100%-ს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ რესპონდენტს გააჩნდა შესაძლებლობა შეთავაზებული პასუხებიდან შეერჩია ერთზე მეტი პასუხი.

საკმაოდ დიდი ნაწილი (44.71%) მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად ასახელებს რუსეთის ინტერესებს აფხაზეთის მიმართ. ამასთან, გამოკითხულთა 29.42% მიიჩნევს, რომ აფხაზური საზოგადოების ინფორმაციული ვაკუუმი/აფხაზეთში გავრცელებული რუსული დეზინფორმაცია არის მთავარი დამაბრკოლებელ ფაქტორი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისათვის. როგორც კვლევა აჩვენებს, გამოკითხულთა 74%-ზე მეტი განსხვავებული კუთხით, თუმცა მაინც რუსულ ფაქტორს გამოკვეთს მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად.

გარდა ამისა, რესპონდენტთა 9.67% დამაბრკოლებელ ფაქტორად მიუთითებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, ხოლო 9.32% კი - აფხაზური საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულებას ქართველებისადმი. ამასთან, გამოკითხულთა 5.75% თვლის, რომ მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტის მოგვარების მზაობის არარსებობაა.

რესპონდენტთა დანარჩენი 1.13% კი კონფლიქტის მოგვარების ხელშემშლელ მთავარ ფაქტორად ასახელებს სხვა ისეთ გარემოებებს, როგორიც არის საქართველოს მხრიდან კონფლიქტის მოგვარებისათვის ოფიციალური პოლიტიკის არარსებობა, ქართველებში არსებული ცნობიერების დაბალი დონე აფხაზების წარმომავლობის თაობაზე, აგრეთვე, კონფლიქტის არსის თაობაზე ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებში არსებული განსხვავებული აღქმები.

საგულისხმოა, რომ პირველი ასაკობრივი კატეგორიის (18-23 წელი) წარმომადგენლები მეტად კრიტიკულები არიან საქართველოს ხელისუფლების და მათ მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ, ვიდრე სხვა დანარჩენი ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები. კერძოდ, 18-23 წლის რესპონდენტთა პასუხების ანალიზით იკვეთება, რომ კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორად სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 5.29% (ამ ასაკობრივ კატეგორიაში რაოდენობრივად მესამე პოზიცია) ასახელებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, მაშინ, როდესაც 24-29 წლის ასაკობრივი კატეგორიაში რაოდენობრივად მესამე პოზიცია (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 3.28%) მიეკუთვნა აფხაზური საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას ქართველებისადმი, ხოლო მესამე ასაკობრივი კატეგორიაში (30-35 წელი) თანაბარი მაჩვენებლით (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 1.28%; სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 1.28%) ფიქსირდება როგორც საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, ისე აფხაზური საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ქართველებისადმი.

განსხვავებული სურათია სქესის მიხედვით რესპონდენტთა პასუხების ანალიზისას. კერძოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორად, აფხაზეთის მიმართ რუსეთის ინტერესებისა და აფხაზური საზოგადოების ინფორმაციული ვაკუუმის/აფხაზეთში გავრცელებული რუსული დეზინფორმაციის შემდგომ, მდედრობითი სქესის რესპონდენტებში სახელდება საქართველოს ხელისუფლების

პოლიტიკა (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 7.12%), მაშინ, როდესაც მამრობითი სქესის რესპონდენტები ასახელებენ აფხაზური საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას ქართველებისადმი (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 3.83%).

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დამაბრკოლებელ ფაქტორებთან მიმართებით გამოკვეთილი ზემოაღნიშნული საერთო სურათისაგან განსხვავებული ვითარება არის იმ რესპონდენტების მიერ დაფიქსირებულ პასუხებში, რომელთა მშობლიურ რეგიონს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ორივე შემთხვევაში რესპონდენტთა უმრავლესობა კონფლიქტის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორად ასახელებს აფხაზური საზოგადოების ინფორმაციულ ვაკუუმს/აფხაზეთში გავრცელებული რუსულ დეზინფორმაციას (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 2.92%; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 2.37%).

აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი იმ რესპონდენტთა შეხედულებები, რომელთა მშობლიური რეგიონი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ემთხვევა საერთო სურათს, განსხვავებულია დამოკიდებულებები იმ რესპონდენტთა პასუხებში, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა - აღნიშნულ რესპონდენტთა უმრავლესობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად თანაბრად (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 0.36%) სახელდება როგორც აფხაზეთის მიმართ რუსეთის ინტერესები, ისე საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა.

4. კონფლიქტის მოგვარების გზები



ახალგაზრდების ხედვა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზების მიმართ კომპლექსურია. დისკურსში ყველაზე დიდი ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ფედერაციის ინტერესებზე. გამოკითხულთა უმეტესობას (23.91%) ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მთავარ გზად ესახება კონფლიქტში რუსეთის ინტერესების შესუსტება. ასევე, პრიორიტეტულად დასახელდა - საქართველოს ევროინტეგრაცია (17.9%), მოლაპარაკების პროცესში

ახალგაზრდების ჩართულობა (14.96%), სახალხო დიპლომატია (14.23%), ორმხრივი კულტურული და სოციალური პროექტების განხორციელება (13.14%). ამასთან, რესპოდენტთა 8.94% საქართველოს ეკონომიკური გაძლიერებას ასახელებს კონფლიქტის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვან გზად. აგრეთვე, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციას ასახელებს 1.82%, ხოლო გამოკითხულთა 2.55% კი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია.

საინტერესოა სქესთა თანაფარდობა აღნიშნული საკითხისადმი. მდედრობითი სქესის წარმომადგენლების უმეტესობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვან გზად მიიჩნევს საქართველოს ევროინტეგრაციას (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 11.86%). აღნიშნულს მცირედით ჩამორჩება პასუხი კონფლიქტში რუსეთის ინტერესების შესუსტება (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 11.50%) და მოლაპარაკების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 10.04%). მამრობითი სქესის წარმომადგენლებში კი ყველაზე მნიშვნელოვან გზად დაფიქსირებულია კონფლიქტში რუსეთის ინტერესების შესუსტება (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა - 12.41%), შემდგომ სახელდება საქართველოს ევროინტეგრაცია - სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 6.02% და საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება - სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 5.66%.

აღსანიშნავია, რომ ასაკობრივ ჯგუფებს შორის, 18-23 ასაკობრივ კატეგორიაში სხვა ჯგუფებთან შედარებით, სადაც პირველ სამ პრიორიტეტულ პასუხად დასახელებულია აღნიშნული პასუხი, ნაკლებად პრიორიტეტულია საკითხი - მოლაპარაკების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა;

საგულისხმოა, განათლების დონის მიმართება აღნიშულ კითხვასთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ ახალგაზრდებს რომელთაც პროფესიული ცოდნა აქვთ (პროფ. სასწავლებელი, კოლეჯი), ყველაზე მნიშვნელოვან, პირველად გზად აფიქსირებენ მოლაპარაკების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას, სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით.

5. ახალგაზრდების მზაობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით/პროცესებში ჩართვის ფორმატი



გამოკითხულ რესპონდენტთა 91.61% აცხადებს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, ჩაერთვებოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ამასთან, საგულისხმოა, რომ კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით ნეგატიური პასუხი („არა“) არ ფიქსირდება შემდეგ რეგიონებში: გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ცხინვალის რეგიონი/ სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი. ასევე, აღნიშნული პასუხი არ გვხვდება იმ რესპონდენტთა პასუხებში, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის სახე არის დაბა.

აღსანიშნავია რომ უმეტესი მათგანი, ვინც არ ჩაერთვებოდა კონფლიქტის მოგვარების პროცესში, არის მამრობითი სქესის წარმომადგენელი (სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 2.92% -მამრობითი, სულ გამოკითხულ რესპონდენტთა 2.37% - მდედრობითი).

რესპონდენტთა უმრავლესობა (46.72%) კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩაერთვებოდა სახალხო დიპლომატიის გზით (რიგითი მოქალაქის პოზიციიდან ჩართულობა), 29.93% - სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო სექტორი) წარმომადგენლებს შორის დიალოგის პროცესში, ხოლო 16.42% კი - სახელმწიფო დონეზე მოლაპარაკების პროცესში.



ამასთან, რესპოდენტებს რომელთაც პროფესიული (პროფ. სასწავლებელი, კოლეჯი) განათლების დონზე აქვთ, პრიორიტეტს ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო სექტორი) წარმომადგენლებს შორის დიალოგის პროცესს.

6. წყაროები, რომლებზე დაყრდნობით ახალგაზრდები იღებენ ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე თანამედროვე (ყოველდღიური) მოვლენების შესახებ

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ქართველ ახალგაზრდებში ინფორმირებულობის დონე ძალზედ დაბალია. ქართულ მედიასა და სხვადასხვა ციფრულ არხებში ნაკლები ინფორმაცია ვრცელდება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მოვლენებზე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელების არსებობა სულ ორ ათეულ წელს ითვლის, იგი მოსახლეობისთვის მთავარ საინფორმაციო ველს წარმოადგენს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში.



რესპოდენტთა დიდი ნაწილი (48.30%) აფხაზეთში მიმდინარე თანამედროვე, (ყოველდღიური) მოვლენების შესახებ ინფორმაციას იღებს სოციალური ქსელის (ინტერნეტი) მეშვეობით, ამასთან, 23.10% - ნაცნობების/ნათესავების/მეგობრების/ სხვა პირადი კონტაქტების მეშვეობით, ხოლო ტელევიზიას/რადიოს/ბეჭდურ მედიასასახლებს - 18.40%. გარდა ამისა, წყაროდ დასახელდა სკოლა/უნივერსიტეტი რესპონდენტთა 8.50%-ში,ხოლო აღნიშნულ საკითხზე რესპონდენტთა 1.7% ასახელებს სხვა პასუხს.

გამოკითხულთა შორის, რომელთა მშობლიური რეგიონი აფხაზეთია ან ფაქტობრივად ცხოვრებენ იქ, ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ნაცნობები/ნათესავები/მეგობრები/ სხვა პირადი კონტაქტებია. მსგავსი ტენდენცია იკვეთება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, რაც შესაძლოა აიხსნას რეგიონების სასაზღვრო მდებარეობითა და ნათესაური კავშირებით.

დასკვნა

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ ახალგაზრდების განწყობების კვლევა ავლენს ისტორიული, გეოპოლიტიკური და პიროვნული ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთკავშირს, რომელიც აყალიბებს ახალი თაობის აღქმას. ახალგაზრდების განწყობები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ არ არის ერთგვაროვანი, თუმცა რიგ საკითხებთან მიმართებით იკვეთება ახალგაზრდების დომინანტური განწყობები, განსაკუთრებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის განმაპირობებელ მიზეზებსა და კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელ გარემოებებთან მიმართებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთს ასოციაციურად ნეგატიურ კონტექსტში განიხილავს და აფხაზეთთან მიმართებით ძირითადად ახსენდებათ ოკუპირებული ტერიტორია ან დაკარგული ტერიტორია. როგორც კვლევამ აჩვენა, აფხაზეთიდან დევნილ პირთა პრობლემატიკა აფხაზეთთან დაკავშირებულ უპირველეს ასოციაციად ძირითადად დევნილ საზოგადოებაში ისახება.

აგრეთვე, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიალისტურ მისწრაფებებს კონფლიქტის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად მიიჩნევს. ამასთან, რუსეთი სახელდება აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების გზაზე მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად. შესაბამისად, რელევანტურია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ქართველი ახალგაზრდები ქართულ-აფხაზური კონფლიქტს რუსული ფაქტორისაგან დამოუკიდებლად არ განიხილავენ. მეტიც, გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მთავარ გზად კონფლიქტში სწორედ რუსეთის ინტერესების შესუსტებას ასახელებს. ამასთან, საგულისხმოა და ნიშანდობლივია ისიც, რომ კონფლიქტის მოგვარების გზად ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ევროინტეგრაციას ასახელებს, რაც მათ შორის გამოკვეთს ახალგაზრდების მისწრაფებას დასავლური ღირებულებებისადმი, და მოლაპარაკების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას. შესაბამისად, ახალგაზრდების დიდ ნაწილს კონფლიქტის მოგვარება და აფხაზეთთან შემდგომი ურთიერთობა ევროპაში ინტეგრირებული საქართველოს ფარგლებში (რუსული ფაქტორის შესუსტებით), კონფლიქტის მოგვარებაში მათივე უშუალო ჩართულობით უფრო რეალისტურად ესახებათ.

ცალკე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ აფხაზეთში ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდები კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელ გარემოებად თანაბრად ასახელებენ როგორც რუსეთის ინტერესებს აფხაზეთის მიმართ, ასევე, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას. შესაბამისად, ამ კუთხით სახელმწიფომ აქტიურად უნდა იმუშაოს, რათა არსებული განწყობების

გამომწვევი მიზეზები სათანადოდ იქნეს შესწავლილი, მათზე შემდგომი ადეკვატური რეაგირების მიზნით.

აღსანიშნავია ახალგაზრდების მზაობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, გამოკითხული ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას გააჩნია მზაობა, შესაძლებლობის შემთხვევაში ჩაერთოს კონფლიქტის მოგვარების პროცესში. მეორე მხრივ, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მათი უმრავლესობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩაერთვებოდა სახალხო დიპლომატიის გზით (რიგითი მოქალაქის პოზიციიდან ჩართულობა), ხოლო სახელმწიფო დონეზე მოლაპარაკების პროცესში ჩართვა ახალგაზრდებისთვის ნაკლებად აქტუალურია.

ახალგაზრდების უმრავლესობისათვის აფხაზეთში მიმდინარე ყოველდღიური მოვლენების თაობაზე ინფორმაციის მიღების წყარო ძირითადად სოციალური ქსელია (ინტერნეტი). ამასთან, გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი ინფორმაციას იღებს ნაცნობების/ნათესავების/მეგობრების/სხვა პირადი კონტაქტების, აგრეთვე ტელევიზიის/რადიოს/ბეჭდურ მედიის მეშვეობით, ხოლო სკოლა/უნივერსიტეტი ინფორმაციის წყაროს გამოკითხულთა კიდევ უფრო მცირე ნაწილისათვის წარმოადგენს, რაც გამოკვეთს საჭიროებას,რომ როგორც ქართულ მედიაში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეტი ყურადღება დაეთმოს აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებს და სახელმწიფო პოლიტიკაც მეტად იყოს მიმართული ქართულ საზოგადოებაში აფხაზეთისა და მასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალიზებისაკენ. ეს შეიძლება მოიცავდეს მედიის გაშუქების გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო ინიციატივების ხელშეწყობას და კულტურათაშორისი გაცვლის წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს რეგიონისა და მისი სირთულეების უფრო დეტალურ გაგებას.აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს კონფლიქტის მოგვარების პროცესზე და შეასრულებს პოზიტიურ როლს ახალგაზრდების განწყობების ფორმირებაში.

მთლიანობაში, კვლევა ხაზს უსვამს ახალგაზრდების განწყობების და პერსპექტივების გათვალისწინების მნიშვნელობას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მშვიდობის, სტაბილურობისა და შერიგების ხელშეწყობის მიზნით. მათი აქტიური ჩართულობა, გაზრდილ ცნობიერებასთან და გაგებასთან ერთად, ხელს შეუწყობს კონფლიქტების მოგვარების ყოვლისმომცველი სტრატეგიებისა და ინიციატივების შემუშავებას.

<u>დანართი №1</u>

კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა

კვლევის მეთოდი და მონაცემების შეგროვების სტრატეგიები

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, ხოლო მონაცემების შეგროვების მეთოდად შერჩეული იქნა ინტერნეტ-გამოკითხვა, წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.

ინტერნეტ-გამოკითხვა უპირატესია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: ვინაიდან ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ არა სრული უმრავლესობა) ინტერნეტის მომხმარებელია, აღნიშნული მეთოდი უფრო მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან პოპულაციაზე მიწვდომის შესაძლებლობას იძლევა; გარდა ამისა, იგი მკვლევარს პოპულაციის ანონიმურად და ამოუცნობად მიწვდომის საშუალებას აძლევს; ამასთან, რესპონდენტებს მათთვის ხელსაყრელ დროს და ადგილას შეუძლიათ კითხვარის შევსება, რითაც მინიმუმამდე დადის ორგანიზაციული შეზღუდვები და მკვლევრის ეფექტი.[12]

კვლევის სრულყოფილად ჩატარებისათვის, კითხვარის პირველადი ვერსიის ჩამოყალიბების შემდგომ, მოხდა მისი პილოტირება (სამ დონეზე - პრაქტიკოსი სპეციალისტები, სფეროს ექსპერტები, ინიციატივის წევრი ახალგაზრდები) შინაარსის, კითხვების ფორმულირების, მოცულობისა და სხვა მახასიათებლების დახვეწისა და სამიზნე ჯგუფზე მორგების მიზნით.

კითხვარის დიზაინი (დანართი N2) შედგება დემოგრაფიული და შინაარსობრივი ბლოკებისაგან. შესაბამისად, შეკითხვის ტიპები ჩამოყალიბებული იქნა დემოგრაფიული და განწყობის გასაზომი კითხვების ფორმით. თავის მხრივ, დემოგრაფიული ბლოკი გამოკითხვაში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფდა, კერძოდ, ფარავდა რესპონდენტის სქესის, ასაკის, მშობლიური რეგიონის, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის სახისა და რესპონდენტის განათლების შესახებ ინფორმაციასშინაარსობრივი ბლოკი კი კვლევასთან დაკავშირებულ 8 შინაარსობრივ შეკითხვას მოიცავდა. თითოეული შეკითხვა ჩამოყალიბებული იყო დახურული სახით, მრავალი არჩევითი პასუხით. ამასთან, თითოეულ კითხვაზე სავარაუდო პასუხების განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული მე-16 ელემენტის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები. გარდა ამისა, საკვლევი საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, კვლევის შედეგების სრულყოფისათვის, თითოეულ შეკითხვას პასუხებში დამატებით განესაზღვრა

[12] *Dillman and Bowker,* The Web Questionnaire Challenge to Survey Methodologists, 2000

ველი - „სხვა“, რომელშიც რესპონდენტს ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხის დაფიქსირების შესაძლებლობა გააჩნდა.

შერჩევა

კვლევის შერჩევის მასშტაბად განისაზღვრა საქართველოს მოქალაქე პირები 18 წლიდან 35 წლის ჩათვლით,რომლებიც სარგებლობენ ინტერნეტით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებზე[13] დაყრდნობით, ჩვენ მიერ შერჩეული ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები საქართველოს მოსახლეობის 22%-ს წარმოადგენენ - 18-23 წელი; 24-29 წელი; 30-35 წელი, რაც მთლიანობაში შეადგენს 833 062 ადამიანს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 548 რესპონდენტმა (დემოგრაფიული მონაცემები - დანართი N1). შესაბამისად, კვლევის ძირითადი მიგნებები გამოკითხული რესპონდენტების მიერ დაფიქსირებული პასუხების ანალიზს ეყრდნობა.

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ კვლევის შედეგების რეპრეზენტაციულობა, მათ შორის, დამოკიდებულია შერჩევის მასშტაბზე, მკვლევართა მიერ რესპონდენტთა შერჩევა მოხდა მარტივი შემთხვევითი (ალბათური) შერჩევის მეშვეობით, რაც გულისხმობს პოპულაციის სიიდან შერჩევისთვის საჭირო რაოდენობის რესპონდენტთა შემთხვევითად არჩევას. მონაცემების შეგროვებაში მონაწილეობა მიიღო მე-16 ელემენტის წევრებმა. წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად, ისინი უზრუნველყოფდნენ ინტერნეტ არხებში (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ელექტრონული ფოსტა) რესპონდენტთა შემთხვევით შერჩევას და მათთვის კვლევის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო რესპონდენტთა გამოკითხვაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში (ინფორმირებული თანხმობა), მათ ეგზავნებოდათ კითხვარი, ამასთან, რესპონდენტს წინასწარ ეცნობებოდა გამოკითხვაში მონაწილეობის ნებაყოფლობითობისა და ანონიმურობის თაობაზე.

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ინტერნეტით ჩატარებული გამოკითხვისას რესპონდენტთა შერჩევის სტრატეგიას (მიუკერძებლობის კონტექსტში) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს,[14] თუმცა შერჩევის შესაძლო მიკერძოებულობის დაძლევა სტრატიფიკაციის ტექნიკებით არის შესაძლებელი.[15] სწორედ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, რესპონდენტთა შერჩევისას მაქსიმალურად იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი თანაფარდობის დაცვა როგორც სქესის, ისე სხვა დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით.

---

[13]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba [29.04.2023]
[14]*Hewson, Yule, Laurent, Vogel,* Internet Research Methods, 2003, 27
[15]*Stewart and Yalonis*, Internet-based Surveys and Sampling Issues, 2001, 6

კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდის სტრატეგიები

ინტერნეტ-გამოკითხვის მეშვეობით ჩატარებული კვლევები შედეგების რეპრეზენტაციულობისათვის განსაკუთრებულ სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს, კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის გაზრდის თვალსაზრისით. ამგვარი კვლევის გამოწვევა შესაძლოა იყოს კითხვარის უპასუხოდ დატოვება, კითხვების ბუნდოვნად ან არასწორად გაგება, რესპონდენტთა ნდობის სიმწირე მკვლევრის შესახებ ინფორმაციის არქონის გამო, რესპონდენტთა მხრიდან იმგვარი მანიპულაციების განხორციელების რისკის არსებობა, როგორიც არის კითხვარის რამდენჯერმე შევსება ან/და კითხვარის შევსება რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად და სხვ.[16][17]

აღნიშნული რისკების შემცირების უზრუნველსაყოფად, კითხვარი იმგვარად იქნა აგებული, რომ რესპონდენტს არ შეეძლო რომელიმე კითხვა უპასუხოდ დაეტოვებინა (სავალდებულოდ შესავსები ველები), რამაც გამორიცხა შეუვსებლად დატოვებული გრაფების არსებობის რისკი.[18]

გარდა ამისა, თითოეული კითხვა მოიცავდა ინსტრუქციას ამა თუ იმ კითხვაზე პასუხის მონიშვნისათვის, რაც მინიმუმამდე ამცირებდა რესპონდენტთა მხრიდან კითხვარის არასწორად შევსების რისკს, ხოლო დამატებით მონაცემების შეგროვებაში მონაწილე პირი კითხვარის გაგზავნამდე უზრუნველყოფდა რესპონდენტთა ინფორმირებას იმის თაობაზე, რომ კითხვარის შინაარსობრივ ბლოკთან მიმართებით ბუნდოვანების შემთხვევაში, მათ შეეძლოთ მიემართათ მკვლევრისათვის დამაზუსტებელი შეკითხვით.

რესპონდენტთა მხრიდან კვლევისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, მონაცემების შეგროვებაში მონაწილე პირი პოტენციურ რესპონდენტს აწვდიდა წინასწარ შემუშავებულ სრულყოფილ ინფორმაციას როგორც კვლევის განმახორციელებლი ორგანიზაციის, ისე თავად კვლევის მიზნებისა და ამოცანების თაობაზე.

ამასთან, ვინაიდან კითხვარის შევსება შესაძლებელი იყო მხოლოდ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, რასაც შესაძლოა რესპონდენტში გამოეწვია უკმაყოფილება მისი ანონიმურობის თაობაზე, წინასწარ ხდებოდა რესპონდენტის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით კითხვარის შევსება მკვლევრებს არ აძლევდა რესპონდენტის ინდენტიფიცირების საშუალებას, ხოლო რესპონდენტის მონაწილეობა კვლევაში იყო სრულად ანონიმური.

აგრეთვე, ერთი რესპონდენტის მიერ კითხვარის რამდენჯერმე შევსების რისკის შესამცირებლად, კითხვარის ტექნიკური კომპონენტი იმგვარად იქნა აგებული, რომ

---

[16] *Dillman, Smyth, Christian, Stern,* multiple answer questions in self-administered surveys: the use of check-all-that-apply and forced-choice question formats, 2003

[17] *Hewson, Yule, Laurent, Vogel,* Internet Research Methods, 2003, 32

[18] *Dillman and Bowker,* The Web Questionnaire Challenge to Survey Methodologists, 2000

ერთ რესპონდენტს ერთი ელექტრონული ფოსტის გამოყენებით მხოლოდ ერთხელ შეეძლო კითხვარის შევსება.

იმისათვის, რათა რესპონდენტებს კონკრეტული კითხვის ფარგლებში პასუხი გაეცათ საკუთარი განწყობების შესაბამისად (ვინაიდან შესაძლოა კითხვარით შეთავაზებული პასუხების ზოგიერთი ვარიანტი მათთვის შეუსაბამო ყოფილიყო), თითოეულ კითხვაში დამატებით განისაზღვრა ველი - „სხვა“, რომლითაც მინიმუმამდე იქნა შემცირებული რესპონდენტთა მხრიდან მათთვის არასასურველი ან შეუსაბამო პასუხის დაფიქსირების რისკი.

კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები, კვლევის მეთოდის გათვალისწინებით, წარმოდგენილია რაოდენობრივი მაჩვენებლების სახით. შესაბამისად, კვლევის შედეგები გაზომვადია. კვლევა, შერჩეული სტრატეგიის თავისებურების შესაბამისად, გამორიცხავს მკვლევართა მხრიდან შედეგების აღწერის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ საკითხთან მიმართებით რესპონდენტთა პასუხების ჯამური მაჩვენებელი აღემატება 100%-ს, რაც განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ რამდენიმე შეკითხვაზე რესპონდენტს ჰქონდა შესაძლებლობა შეთავაზებული პასუხებიდან შეერჩია ერთზე მეტი პასუხი. შესაბამისად, აღნიშნულ კითხვებზე პასუხების ჯამური მაჩვენებელი განპირობებულია თავად ამ კითხვის ტიპით.

შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვად გვესახება ინტერნეტ-გამოკითხვასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათ შორის, რესპონდენტის მიერ კითხვარის შევსების პროცესზე კონტროლის არარსებობა, რის გამოც, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში კითხვარი შევსებული იყოს მექანიკურად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ სახის კვლევებში შეუძლებელია რესპონდენტთა ემოციურ დამოკიდებულებაზე დაკვირვება მკვლევრის მხრიდან.

˜კვლევის შეზღუდვად შეიძლება განხილული იქნეს ის გარემოებაც, რომ რესპონდენტს, მართალია. ერთი ელექტრონული ფოსტის გამოყენებით მხოლოდ ერთხელ გააჩნდა კითხვარის შევსების შესაძლებლობა, თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავდა მისი მხრიდან სხვა ელექტრონული ფოსტის გამოყენებით კითხვარის ხელახლა შევსების შესაძლებლობას.

<u>დანართი №2</u>

დემოგრაფიული მონაცემები

ინდიკატორი	მახასიათებელი	მაჩვენებელი (%)
სქესი	მდედრობითი	59.5
	მამრობითი	40.5
ასაკი	18-23 წელი	48.5
	24-29 წელი	35.6
	30-35 წელი	15.9
განათლება	საბაზო, საშუალო (სკოლა)	4.0
	პროფესიული (პროფ.სასწავლებელი, კოლეჯი)	1.8
	არასრული უმაღლესი (სტუდენტი)	30.7
	უმაღლესი (უნივერსიტეტი)	63.5
მშობლიური რეგიონი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	9.9
	სამეგრელო და ზემო სვანეთი	11.2
	გურია	2.9
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	6.3
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4.9
	იმერეთი	20.1
	სამცხე-ჯავახეთი	4.6
	შიდა ქართლი	7.0

	მცხეთა-მთიანეთი	3.2
	ქვემო ქართლი	2.7
	კახეთი	10.6
	თბილისი	15.9
	ცხინვალის რეგიონი/ სამხრეთ ოსეთი	0.7
ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	1.1
	სამეგრელო და ზემო სვანეთი	3.8
	გურია	0.2
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	3.5
	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.5
	იმერეთი	9.3
	სამცხე-ჯავახეთი	2.0
	შიდა ქართლი	2.7
	მცხეთა-მთიანეთი	0.9
	ქვემო ქართლი	4.0
	კახეთი	4.6
	თბილისი	65.7
	ცხინვალის რეგიონი/ სამხრეთ ოსეთი	0.00
	სხვა (დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი)	1.7
	ქალაქი	87.4

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის სახე	დაბა	0.9
	სოფელი	11.7






რესპონდენტთა მშობლიური რეგიონი
აფხაზეთის ა.ჰ
9.9%
სამეგრელო და ზემო სვანეთი
11.2%
გუნია
2.9%
აჭარის ა.ჰ
6.3%
ჩაჭა-ღეჩხუმი და ქვემო სვანეთი
4.9%
იმერეთი
20.1%
სამცხე-ჯავახეთი
4.6%
შიდა ქართლი
7.0%
მცხეთა-მთიანეთი
3.2%
ქვემო ქართლი
2.7%
კახეთი
10.6%
თბილისი
15.9%
სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი
0.7%


რესპონდენტთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი
აფხაზეთის ა.ჰ
1.1%
სამეგრელო და ზემო სვანეთი
3.8%
გუნია
0.2%
აჭარის ა.ჰ
3.5%
ჩაჭა-ღეჩხუმი და ქვემო სვანეთი
0.5%
იმერეთი
9.3%
სამცხე-ჯავახეთი
2.0%
შიდა ქართლი
2.7%
მცხეთა-მთიანეთი
0.9%
ქვემო ქართლი
4.0%
კახეთი
4.6%
თბილისი
65.7%
1.7%
სხვა (გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი)
*სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი-0.00%


რესპონდენტთა ფაქტობრივი
საცხოვრებელი ადგილის სახე
სოფელი
11.7%
დაბა
0.9%
ქალაქი
87.4%


რესპონდენტთა განათლება
საბაზო, საშუალო (სკოლა)
4.0%
პროფესიული
(პროფ.სასწავლებელი,
კოლეჯი)
1.8%
ახასხული უმაღლესი (სტუდენტი)
30.7%
უმაღლესი (უნივერსიტეტი)
63.5%

<u>დანართი №3</u>

კვლევის კითხვარი

დემოგრაფიული ბლოკი

სქესი
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ თქვენი სქესი.

- მდედრობითი;
- მამრობითი;

ასაკი
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ თქვენი ასაკობრივი კატეგორია, რომელსაც ამჟამად განეკუთვნებით.

- 18-23 წელი;
- 24-29 წელი;
- 30-35 წელი;

მშობლიური რეგიონი
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ ადგილი, საიდან ხართ წარმოშობით ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;
- სამეგრელო და ზემო სვანეთი;
- გურია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი;
- იმერეთი;
- სამცხე-ჯავახეთი;
- შიდა ქართლი;
- მცხეთა-მთიანეთი;
- ქვემო ქართლი;
- კახეთი;
- თბილისი;
- ცხინვალის რეგიონი/ სამხრეთ ოსეთი;
- სხვა----------;

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ ადგილი, სადაც ამჟამად ცხოვრობთ ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;
- სამეგრელო და ზემო სვანეთი;
- გურია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი;

- იმერეთი;
- სამცხე-ჯავახეთი;
- შიდა ქართლი;
- მცხეთა-მთიანეთი;
- ქვემო ქართლი;
- კახეთი;
- თბილისი;
- ცხინვალის რეგიონი/ სამხრეთ ოსეთი;
- სხვა----------;

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის სახე

ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის სახე, სადაც ამჟამად ცხოვრობთ.

- ქალაქი;
- დაბა;
- სოფელი;

განათლება

ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ თქვენი ამჟამინდელი განათლების დონე.

- საბაზო, საშუალო (სკოლა);
- პროფესიული (პროფ.სასწავლებელი, კოლეჯი);
- არასრული უმაღლესი (სტუდენტი);
- უმაღლესი (უნივერსიტეტი);

შინაარსობრივი ბლოკი

1. **უპირველესად რა ასოციაცია გიჩნდებათ აფხაზეთთან დაკავშირებით?**

ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- ქართულ-აფხაზური კონფლიქტი;
- საქართველოს ტერიტორიის დაკარგვა;
- რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია;
- ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობა;
- აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) პრობლემატიკა;
- საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;
- სხვა----------;

2. თქვენი აზრით, უმთავრესად რამ განაპირობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი?

<u>ინსტრუქცია:</u> გთხოვთ, მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- 1980-1990-იან წლებში საქართველოში არსებული არამდგრადი პოლიტიკური ვითარება;
- 1980-1990-იან წლებში ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილის მხრიდან აფხაზების მისამართით გაჟღერებული დისკრიმინაციული განცხადებები;
- აფხაზების სეპარატისტული მისწრაფებები;
- რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები;
- სხვა----------;

3. თქვენი აზრით, რა არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელი ფაქტორები?
ინსტრუქცია: შეგიძლიათ მონიშნოთ ერთი ან ერთზე მეტი პასუხი ან/და ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწეროთ ველში - "სხვა".

- რუსეთის ინტერესები აფხაზეთის მიმართ;
- აფხაზური საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ქართველებისადმი;
- აფხაზური საზოგადოების ინფორმაციული ვაკუუმი/აფხაზეთში გავრცელებული რუსული დეზინფორმაცია;
- ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტის მოგვარების მზაობის არარსებობა;
- საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა;
- სხვა----------;

4. როგორ ფიქრობთ, რა არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი?
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- რუსეთის ინტერესები აფხაზეთის მიმართ;
- აფხაზური საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ქართველებისადმი;
- აფხაზური საზოგადოების ინფორმაციული ვაკუუმი/აფხაზეთში გავრცელებული რუსული დეზინფორმაცია;
- ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტის მოგვარების მზაობის არარსებობა;
- საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა;
- სხვა----------;

5. ყველაზე მნიშვნელოვნად რა გზას მიიჩნევთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისათვის?
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- სახალხო დიპლომატია;
- მოლაპარაკების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა;
- კონფლიქტში რუსეთის ინტერესების შესუსტება;
- საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება;
- რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია;
- ორმხრივი კულტურული და სოციალური პროექტების განხორციელება;

- საქართველოს ევროინტეგრაცია;
- კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია;
- სხვა----------;

6. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ჩაერთვებოდით თუ არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში?
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- დიახ;
- არა;
- სხვა----------;

7. წინა შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითეთ რა ფორმატში ისურვებდით ქართულ-აფხაზური კონფლქიტის მოგვარების პროცესში ჩართვას?
ინსტრუქცია: გთხოვთ, მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი ან ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწერეთ ველში - "სხვა".

- სახელმწიფო დონეზე მოლაპარაკების პროცესი;
- სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო სექტორი) წარმომადგენლებს შორის დიალოგის პროცესი;
- სახალხო დიპლომატია (რიგითი მოქალაქის პოზიციიდან ჩართულობა)
- სხვა----------;

8. რა სახის წყაროზე დაყრდნობით იღებთ ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე თანამედროვე (ყოველდღიური) მოვლენების შესახებ?
ინსტრუქცია: შეგიძლიათ მონიშნოთ ერთი ან ერთზე მეტი პასუხი ან/და ჩამოთვლილთაგან განსხვავებული პასუხი ჩაწეროთ ველში - "სხვა".

- ნაცნობები/ნათესავები/მეგობრები/ სხვა პირადი კონტაქტები;
- სოციალური ქსელი (ინტერნეტი);
- ტელევიზია/რადიო/ბეჭდური მედია
- სკოლა/უნივერსიტეტი;
- სხვა----------;

გამოყენებული წყაროები

- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250: ახალგაზრდები, მშვიდობა და უსაფრთხოება (UN Security Council Resolution 2250: Youth, Peace and Security);

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის სამშვიდობო ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება“;

- ვ. ნოღაიდელი, ე. ჭანია, გ.რიჟვაძე, ს. ბაბალაშვილი, ახალგაზრდების აზრის კვლევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ, მე-16 ელემენტი, თბილისი, 2020;

- Conciliation Resources, ახალგაზრდული პერსპექტივები მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ: ქართულ-აფხაზური კონტექსტი,2017;

- საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა და მშვიდობის მშენებლობაში მათი მონაწილეობა - *კვლევა ჩატარა „კავკასიური სახლისთვის“ „CRRC-საქართველომ“*, 2021;

- Hewson, Yule, Laurent, Vogel, Internet Research Methods, London, 2003;

- Dillman, Smyth, Christian, Stern, multiple answer questions in self-administered surveys: the use of check-all-that-apply and forced-choice question formats, 2003;

- Stewart and Yalonis, Internet-based Surveys and Sampling Issues, 2001;

- Dillman and Bowker, The Web Questionnaire Challenge to Survey Methodologists, 2000;

- Country report Georgia/Abkhazia . ICRC worldwide consultation on the rules of war. Report by Greenberg Research, Inc, Geneva, 1999